

26

1865




ГРУЗИНСКІЙ

ДУХОВНЫЙ ВѢСТНИКЪ.

1865.

СЕНТЯБРЬ.



სამართუმბლოს

სასულიერო მასწებელი.

სეპტემბერი.

ჩუგუა.



ТИФЛИСЬ.

ВЪ ТИПОГРАФІИ МЕЛИКОВА и К^о.



ПОДПИСКА

НА

„ГРУЗ. ДУХ. ВѢСТНИКЪ“

продолжается и принимается въ редакціи сего журнала, при Тифлисской духовной семинаріи, на имя редактора. Цѣна за годовое изданіе журнала, т. е. за 12 кн., съ доставкою на домъ и пересылкою во всѣ города. 5 р. сереб., безъ доставки и пересылки—4 р. с.; за одни прибавленія на русск. языкъ, для особо подписывающихся, 1 р. с. По той-же цѣнѣ можно получать остающіеся экземпляры журнала за *первый* (18⁶⁴/₆₅) годъ.

Независимо отъ журнала продаются: “Общепонятное изложеніе догматическаго ученія Православной вѣры,, и “Жизнь Пресв. Богородицы,,—на груз. яз.—по 40 к. с. экземпляръ, съ пересылкою и безъ нея.

სქელის-მწერს ყურნალზედ მიიღება ტიფლისის სემინარიაში, რედაქტორის სასკლზედ. ფასი წლის ყურნალისა, ესე იგი 12 წიგნისა, შინ მიტანით და სხუა ქუჭურებში გაგზავნით სუთი მანეთი; მიუტანელად და გაუგზავნელად ოთხი მან. მარტო რუსულისათჳს ერთი მანეთი. ამავე ფასით შეიძლება გამწერს დანაშთენის ეგზეკუტორების წარსრული წლის ყურნალისა.

ცალკე იხუილება: “ადგილ-სასქენელად გამოსატჳს მართლ-მადიდებელის საწმუნოების დოქმატიკურისა სწავლისა,, და “ცხოვრება ყოვლად-წმიდისა ღუთის-მშობლისა,,—ორ სხვათ თჳთო ეგზეკუტორი, გაგზავნით და გაუგზავნელად.

შემოკლებული საღმრთო ისტორია

ძველისა და ახლისა აღთქმისა,

თარგმნილი რუსულითგან.

ალექსანდრე ჭომინისძე.

88



გამოცემული „საქართულის სასულიერო მასწავლებლის რედაქციისაგან“, სასწავლებლად ქართულთა სასწავლებელსა უწყისათა



ТИФЛИСЬ.

Въ типографіи Меликова и К-о.

1865.



Дозволено цензурою Тифлисъ, 10 Сентября, 1865 года.

ძიგ. ნათლისღების შემდგომ იესო ქრისტე განვი-
და უდაბნოდ, განატარა იქ 40 დღე მარხვაში
და ლოცვაში. აქ გამოიცდებოდა ეშმაკისაგან,
რომლის შემდგომ იწყო მან სწავლა ხალხისა
და სასწაულთმოქმედება. ამ დროს შეიძინა მან
ძრავალნი მოწაფენი, რომელთაგანაც ამოიჩინა
თორმეტი და უწოდა მათ მოციქულებად, ამის-
თვს რომ ისინი უნდა წასულ-იყვნენ და ექადაგნათ
იესო ქრისტეს სწავლა მთელი ქვეყნისთვის.

კით. რა ალაგებში ქადაგებდა იესო ქრისტე?

ძიგ. იგი ქადაგებდა ქალაქებში, ურიასტანისა და გალი-
ლიის სოფლებში და იერუსალიმის ტაძარში. ჰირ-
ველი საგანი მის სწავლა-ქადაგებისა იყო ისა,
რომ დაერწმუნებინა ურიანი თავის ნამდვილს მე-
სიობაზედ, რომელსაც ისინი იმტელ ხანს
ელოდნენ. ეგრეთვე ცდილობდა იგი, რომ მოქ-
ცია ხალხი სინანულისადმი. მარადის შთაავონებდა
ხალხსა შეცოდებათ მიტევებასა მოუჭასთათვს, და
ამასთანავე ასწავლიდა მოეძულებინათ წარმავალნი

საუნჯენი ქვენიუნი. იგი უბნობდა უძეტეს იგავებითა.

კით. როგორი სასწაულები ჰქმნა იესო ქრისტემ?

მიგ. იესო ქრისტე იქმნდა უდიდესთა სასწაულთა: მან გარდააქცია წვალი ღვინოდ კანას კალილიაში. განკურნა მობიდგან ბრძა, აგრეთვე მრავალნი სხუანი ბრძანი, მკელობელნი ანუ კოჭლნი და მუნჯანი. განაძღო ხუთი ჰურით ხუთი-ათასი კაცი; ერთის ბრძანებით დააყენა ქარიშხალი ზღვაზედ და მრავალნი სხუანი ჰქმნა სასწაულნი.

კით. არა აღადგენდა იესო ქრისტე მკუდართა?

მიგ. მან აღადგინა ქალი ურიათ თავადისა, ვაჟი ნაინის ქვრივისა და ღახარე, რომელიც იყო ოთხი დღის მკუდარი.

კით. ვითარი ზედმოქმედება და გაკლენა ჰქონდა იესო ქრისტეს სასწაულ-მოქედებას ხალხზედ?

მიგ. მის სასწაულებს ჰქონდათ დიდი და ძრიელი გავლენა ხალხზედ; მაგრამ რაც უფრო მრავლდებოდნენ მოწმუნენი ქრისტესნი, იმტეფი უფრო და უფრო

შური და უკმაყოფილება ძრეულდებოდა ფარისე-
ველებში, რომლების ჰირ-მოთნეობას, ორ-ჰირობას
და ორგულობას აცხადებდა და საქვეყნოდ გამოჰ-
ფენდა ქრისტე. ამის გამო მათ გულში ჩაიდეს იმ-
გვარი შური მასზედ, რომ ეძებდნენ შესაფერის შემ-
თხვევას, რომ მოჰკლან იგი.

კით. ვინ მისცა იესო ქრისტე ფარისეველთა?

მიგ. იუდაჲ, ერთმა ათთორმეტ მოციქულთაგანმა მისცა
ფარისეველთა იესო ქრისტე ოც-და-ათ ვეცხლად.

კით. როგორი დრო აღმოაჩინა მან ამ უღმრთო სა-
ქმისათვის?

მიგ. მან ისარგებლა აღსასრულებლად თავის ბორო-
ტის განზრახვისა იმ შემთხვევით, როდესაც იესო
ქრისტე, შემდგომ აღსრულებისა საღმრთო სე-
რობისა თავის მოწაფეებთან, წარვიდა სალოცავად
გეთსამანიის ბაღში.

კით. როდის აღასრულა იესო ქრისტემ საღმრთო
სერობა?

მიგ. ხუთშაბათს - საღამოზედ, თავის სიკუდილის

წინააღმდეგ, მას ჰქონდა სერობა თავის მოწაფე-
ებთან. ამ სერობასეოდ განსტეხა ჰური და მისცა
თავის მოწაფეებს, ამ სიტყვებით: მიიღეთ და
სჭამეთ, ესე არს გორცი ჩემი თქუწნ-
თჳს მიცემული. აგრეთვე მისცა სასმელი
ღვინითა და ყველა მოწაფეებს უთხრა: სუთ
ამისგან ყოველთა, ესე არს სისხლი ჩემი
ახლისა აღთქმისა თქუწნთჳს და მრავ-
ალთათჳს დათხეული მისატევებელად
ცოდუათა. ეს უკანასკნელი ვახშამი მისი მოწა-
ფეებთან იწოდება საღმრთო სერობად, ამი-
ტომ რომ აქ იესო ქრისტემ დააწესა საიდუმ-
ლო ზიარებისა.

კით. სად წაიყვანეს იესო ქრისტე ურიათა, როდესაც
შეიპურეს იგი გეთსამანიის ბაღში?

მივ. ურიათა როგორც რომ შეიპურეს იესო ქრისტე
მაშინვე წაიყვანეს იგი ჰირველად მღუდელმთავ-
რებთან:—ანნა და კაიაფასთან, ხოლო შემდ-
გომ—ზილათესთან, რომელიც იყო იმ დროს

მთავარ-მართებლად განწესებული რომაელებთან
მიერ ურიასტანში. ჰილასტემ გამოიძია და თუმცა
დანაშაულობა ანუ ბრალი ვერა იპოვარა მასში,
მაგრამ მაინც ჯერ წარგზავნა იროდთან, გალი-
ლიის მთავართან, რადგანაც იესო გალილევე-
ლი იყო; იროდის კარზედ მრავალი უპატიურება
მიხეენეს იესო ქრისტეს და ამგვარად შერიგდ-
ნენ იროდი და ჰილასტე, რომლებიც აქამდინ
უკმაყოფილოდ იყვნენ ერთმანერთსედ. უკანას-
კნელ ჰილასტემ ჭსცა მოლტით და ხალხის
გულისთვს, რომელიც ითხოვდა ქრისტეს სიკ-
ჟდილსა, კარდასწუვიტა, რათა ჯვარს აცვან.

კით. სად წაიყვანეს ურიათა ჰილასტედგან იესო ქრისტე?

მიგ. მათ წაიყვანეს იგი კოლკოთის მთაზედ და იქ
ჯჳარს-აცვეს. მასთანავე ორნი ავახაკნი ერთი მა-
რჯვენით და მეორე მარცხენით.

კით. ვითარნი ნიძნები ანუ ცვლილებანი მოხდნენ ამ
დროს ქუჭუნის ბუნებაში?

მიგ. ამ დროს კრეტსაბმელი ტაძრისა განიპო ორად,

მზე დაბნელდა, ქუჩუყანა შეირყია, კლდენი განი-
ზნენ და მრავალნი წმიდა გუამნი წინათ-შესვენბუ-
ლნი აღსდგნენ.

კით. რავდენს ხანს იმყოფებოდა იესო ქრისტე საფ-
ლაჳში?

მიგ. იესო ქრისტე იმყოფებოდა საფლაჳში ჰარას-
კემ სელამოდგან კვირა დილამდინ, ამ მესამე
დღეს იგი აღსდგა მკურნეთით და გამოეცხადა
მრავალთა მოწაფეთა თჳსთა.

კით. რავდენ ხანს იმყოფებოდა იესო ქრისტე ქვე-
ყანაზედ შემდგომ აღდგომისა თჳსისა?

მიგ. იგი შემდგომ თჳსის აღდგომისა საფლაჳით იმ-
ყოფებოდა ქვეყანაზედ 40 დღეს. ამ ხანის
განმავლობაში იგი მრავალჯერ გამოეცხადებოდა
მოწაფეთა, შემდგომ წარიყვანა იგინი ბეთანიას,
აკურთხა და მათ წინაშე ამაღლდა ზეცად, აღუ-
თქვა, რომ იმ ცოტა ხანში მოუვლენს მათ ნუ-
გეშინისმცემელსა სულსა წმიდასა.

კით. როდის აღსრულდა ეს აღთქმა?

მიგ. მეერგასესა ანუ მეორმეოცდაათესა დღესა შემდგომ
თჳსის აღდგომისა. როდესაც მოციქულნი მა-
რიამ დედითურთ ქრისტესით იუვნენ კარდას-
შულ სახლში განკმარლუნი ლოცვასა და ვედრე-
ბასა—მსრალ შეიქმნა ოხვრა ანუ ხმაურობა
ქარიშხლის მსგავსი და სული წმიდა გარდა-
მოვიდა მათსგდა, სახითა ცეცხლის ენა-
თასა. ამ დროს მიიღეს მათ ძალი და ნიჭი ლა-
ზარაკისა სხჳა და სხჳა ენებსგდ და მადლი სა-
სწაულთ მოქმედებისა უფროს ჰირველისა.

კით. რა ჰქმნეს მოციქულთა, როდესაც აღივსნენ მა-
დლითა სულისა წმიდისათა?

მიგ. იგინი ქადაგებდნენ ქრისტეს სწავლასა, ამტკი-
ცებდნენ მის ჳემმარიტებასა სასწაულთმოქმედე-
ბითა და მცირე ხანის განმავლობაში განავრცე-
ლეს ქრისტეს სარწმუნოება თითქმის ყველა მხა-
რეს, რაცკი იმ დროს უწეებულნი ქვეყნის ნაწი-
ლები იუვნენ.

კით. ვითარნი მწერლობანი დაგვიტევეს მოციქულთა?

მიგ. რომელთაჲ მოციქულთა დაკვირვებს მწერლობანი, რომლებსაც იგინი უგზავნიდნენ სხუა და სხუათა ხალხთა, რათამცა მათ, როგორც ახალთა ქრისტიანეთა, ესწავლათ დოღმატნი ქრისტიანობრივის სარწმუნოებისანი და უმეტეს დარწმუნებულ-იყვნენ მის სიკეთესად და სიწმიდესად. მათნი წერილნი უწებულ არიან ჩვენს ეკკლესიაში ოთხი მახარებელთ სახელითა, რომელთაც უწერიათ ის წერილნი: წმიდა მათე, წმიდა მარკოზ, წმიდა ლუკა და წმიდა იოანე; საქმე და ეპისტოლენი მოციქულთა. ამათ გარდა კიდევ არის გამოცხადება დაწერილი წმიდა იოანე მახარებელის და ღუთის-მეტეველისა მიერ.

კით. როგორ მდგომარეობაში იყო ქრისტიანობრივი ეკკლესია მოციქულების დროს?

მიგ. მოციქულთა სწავლასა ამტკიცებდნენ და უმეტეს ვრცლად და ცხადად წარმოადგებდნენ წმიდა მამანი ეკკლესიისანი. ამისთვის ქრისტიანობა განვრცელდა ეგვიპტის ქვეყნის მხარეს, არა მიძხედველნი

ამისა, წარმართნი გრძნობდნენ რა, ამგვარად რომ ვრცელდებოდა და იზრდებოდა ეკკლესია, ქრისტესი, არ შეეძლოთ რომ კარგის თვალით და გულით ეცქირნათ ამ საქმისათვის. მართლაც ეკკლესიამ ზირველოთ საუკუნეებში დაითმინა მტრებისაგან მრავალგვარნი უძმუნვარესნი ტანჯვანი და დევნულებანი.

კით ვინ მისცა აღსასრული ამ დევნულებას?

მიგ. კონსტანტინე დიდმა, რომელმაც თითონ მიიღო ქრისტეს სარწმუნოება და ჰყო იგი მთელი რომის იმპერიის უძთავრეს სარწმუნოებად, ხოლო რომის სამეფო იყო ამ ქამად თუთ უძლიერესი და თუთ უვრცელესი მთელ ხმელეთსედ.

კით. ვინ მიიღო და დაამტკიცა რუსეთში ქრისტიანობრივი სარწმუნოება?

მიგ. რუსეთში მიიღო ქრისტიანობრივი სარწმუნოება დიდმა მთავრინამ — ოლღამ. ის მოინათლა კონსტანტინეზოლში. შემდგომ ვლადიმირ დიდმა 988 წელში მიიღო და განავრცელა ქრისტიანობა მთელს თავის სამეფოში.

კით. რა უნდა ვიკულისხმეთ ქრისტეს ეკკლესიის წეს-
დებულებებზედ?

მივ. მთელი ეკკლესიური რიგები ანუ წეს-დებულებანი
არიან დადგენილნი და შემოღებულნი წმიდა მო-
ციქულებისაჲმირ ქრისტე სეკლესიაში, რომელ-
ნიც აწინდლამდინ არიან უცვალებლად დაცულ-
ნი მართლმადიდებელს ბერძენთ-აღმოსავლეთის
ეკკლესიაში.

კით. როგორი წეს-დებულება და რიგები იყო ჰირვე-
ლად ქრისტეს ეკკლესიაში.

მივ. ეგრეთივე როგორიც ეხლა არის ეკკლესიათა
შინა ბერძენთა და რუსთასა: იუვენ ეპისკოპოს-
ნი, მღჳდელნი და დიაკონნი. იერუსალიმის ეკ-
კლესია იყო მ ა კ ა ლ ი თ ა დ — სხუათა ეკკლესიათა-
თჳს ღჳთისაჲმხსურებისა, ე. ი. წირვა-ლოცვის
აღსრულებაში. დიდმა კონსტანტინემ გაჰყო თა-
ვის სამეფო ეპარქიებად; შემდგომ დროებაში
შეიქმნენ დაწესებულნი მიტროპოლიტნი და
პატრიარქნი.

კით. ჰირველად რავდენნი იუენენ ჰატრირხნი?

მიგ. ჰირველად იყო ოთხი ჰატრირხი: რომში, ანტიოქიაში, იერუსალიმში და ალექსანდრიაში. შემდგომ დროებში დააუენეს ჰატრირქი კონსტანტინე პოლში; ხოლო უკანასკნელ რუსეთშიაც.

კით. დაცულ-იქმნა თუ არა მოციქულების სწავლა ჰირველისავე სიწმიდით ქრისტიანობრივს ეკკლესიაში?

მიგ. სამოციქულო სწავლა შეუხებელი და შეურყეველი თჳს საგნით, კაცის ამჟარტავანი და ამაყი გონებით თავისუფლად იქმნა განმარტებულ და ახსნილ, — ამისაგამო წარმოსდგენენ სხუა და სხუა მხარეებში მრავალ-გვარნი წვალებანი და სადმართო წერილის გულის-ხმის ყოფანი.

კით. ვითარნი დონის-ძიებანი იქმნენ ნახმარები წვალებათა აღმოსაფხვენელად ქრისტეს ეკკლესიაში?

მიგ. ამისთჳს შესდგენენ მსოფლიო კრებანი: მოციქულნი შეიკრიბნენ 47 წელს ქრის. მობიდგან,

განსამარტებლად წინადადებისა, რომ წარმართთაც
რომელნიც ნათელს-იღებდნენ უნდა წინა-დაეც-
ვითათ და აღესრულებინათ მოსეს რჯული, თუ
არა. მეორე საუკუნეში დიდმა კონსტანტინემ შე-
ჭკრიბა ნიკიაში არიას წინააღმდეგ ჰირველი
მსოფლიო კრება სადაც შეადგინეს სიმგო-
ლო სარწმუნოებისა. შემდგომ დროებშიაც იუ-
ვნენ რავდენიმე მსოფლიო კრებანი განსაღვენე-
ლად მწვალებელთა და მრავალ-გვართა შეცთო-
მათა და მოსაქცევად წარწემედულთა ქრისტია-
ნეთა გზასა ზედა ჭეშმარიტის სარწმუნოებისასა.
კით. მართლა შეაყენეს და დაამშვიდეს აღრულებანი
და გარყენილებანი ქრისტეს ეკლესიაში, რომ-
ლებიც ჟამითი-ჟამად წარმოხდებოდნენ მწვალე-
ბელთაგან, თუ ვერა?
მიგ. თუმცა სამოციქულო და მსოფლიო კრებათა
ცხადათ წარმოგვიდგინეს ჭარბი და საგანი ქრი-
სტიანობრივის სარწმუნოებისა, მტკიცედ განსა-
ზღვრეს კანონნი და წეს-დებულებანი ეკლესი-

ურნი, მაგრამ შორის წევრთა ეკკლესიისათა მან
ინც ვერ შეაყენეს ჭაჭრთ სხუათა და სიტყვათ
უთანხმოება, ე. ი. თავისებრივი ახსნა და გაგონება
საღმრთო წერილისა და სხუათა წმიდათა

სჯულის საგანთა. — ამისთვის ძრავათა დაუტევეს
ჭეშმარიტი სარწმუნოება, დედა ეკკლესია და იულტოდნენ
მისგან გარეთ გატაცებულნი ცრუ-ცოდნითა და
ამოკონებითა. ამ გვარე უთანხმოება რწმუნებაში
მოხდა კონსტანტინეპოლის პატრიარქის ფოტის და რომის პაპის
ნიკოლაოზის შორის. ესე ვითარი განხეთქილება
შეიქმნა მიზეზად ეკკლესიის განყოფისა: აღმოსავლეთისა
და დასავლეთისა.

კით. გარდა ამისა განა არ იყო სხუა განყოფილება
როდისმე ქრისტეს ეკკლესიაში?

მიგ. მეთექვსმეტე საუკუნეში ლუტერი ბერი — ღუის-
მეტველების მოძღუარი, წინააღუდგა სწავლასა და
წესდებულებასა დასავლეთის ეკკლესიისასა, უარჴყო
საღმრთო მოთხრობა, წმიდა მამათ დი-

რსება, კანონნი მსოფლიო კრებათა, შეთხუზა
 კატეხისძო, შესცვალა მრთელი ძველი ღუთის-მსა-
 ხურების რიგები და დააწესა ახალი წეს-დებულე-
 ბა იერარხიულს გამკებლობაში ანუ მმართ-
 ველობაში. მისი მიმყოლნიც და თანამოაზრენი
 ჩქარა განსხვავდნენ ჭაწრითა და სოკიერთი სარ-
 წმუნოების დოღმატების გულისხმისყოფითა, —
 აქედგან წარმოსდგნენ მრავალნი წვალებანი და
 განხეთქილებანი.

დასასრული.

შობა წმიდისა მარიაჲ ღუთის-მშობლისა, ყოვლად-
დიდებულისა იესო ქრისტეს დედისა.

ა.

ისტორიასა შინა ათთორმეტთა ტომთა ისრაელთასა, იყო იო-
აკიმ, კაცი ფრიად მდიდარი, რომელიცა შესწირვიდა მწიბლთა
ნიჭთა თჳსთა ღმერთსა; იტყუდა იგი: იყავნ სიმიდრე ჩემი ყოვ-
ლისა ერისა და მოტეკებს ბრალთა ჩემთა წინაჲ უფლისა შესაწუ-
ნარებულად ჩემდა. მოიწია დღე იგი დიდი უფლისა, რომელსა ში-
ნა ძენი ისრაელთანი მიაწომიდენ ნიჭთა თჳსთა. ესრეთ იოაკიმცა
მიაწოენა ძღვენნი თჳსნი. ჭ მოყსდა მას ვინმე რუკიმ, ჭ ეტყუ-
და: შენდა არა ჯერ-იყო, რათამცა შირველ ყოველთა მიგერთმის
ძღვენნი შენნი, მით რომელ არა გივის თესლი ისრაელთა შორის.
ამით მწარედ მწუხარე იქმნა იოაკიმ ჭ მიმართა ნათესავთა ათ-
თორმეტთა ტომთასა, მეტეკელმან: განვიხილო ათთორმეტთა
ტომთა შორის ისრაელთასა, ნუ უკვე მე მხოლომან არა ვქმენ ნა-
ყოფი ისრაელთა შორის. გამოიძია ჭ ჭზოვა, რომელ ყოველთა
მართალთა აღედგინათ თესლი ისრაელისად. მოესხენა მამათ-მთავ-
რის აბრაამისათჳს, რომელ უკანასკნელთა დღეთა შინა ღმერთმან მი-
ანიჭა მას ისაკი. ჭ ესრედ მწარედ მწუხარე იყო იოაკიმ, ჭ არა
ეჩვენა ცოლსა თჳსსა, არამედ წარვიდა უდაბნოდ (მთად), ჭ მუნ

აღმართა კარავი თუხი ჭ იძარსა ორძეოცი დღე ჭ ორძეოცი და-
მე, მეტყველმან თავისა თუხისა: არა გარდამოვიდე (სახიდ ჩემდა),
არცა საჭმელად და არცა სასმელად ვიდრე არა მოხედვას-ტყუას ჩემ-
ზედა უფალმან ღმერთმან ჩემმან: არამედ იყავნ ჩემდა საჭმელ და
სასმელ ღოცვამ.

ბ.

სოლო ცოლი მისი ანსა სტიროდა ტირილითა მხოვლითა ჭ
იგლოვდა გლოვითა მჩხოვლითა, მეტყველი: ვსტიროდე ქვრივობა-
სა ჩემსა ჭ ვგოდებდე ბერწობასა ჩემსა: ამის შორის მოიწია დღე
იგი დიდი უფლისა, ჭ ჭრქუა იუდიო შიმუნვარმან (მოახლემან) მის-
მან: ვიდრემდის შეაურვებ სულსა შენსა მწუხარებითა? აჰა მოიწია
დღე იგი დიდი უფლისა, და არა სამს შენდა ტირილი, გარსა აღ-
იდე თავის საკრავი ესე, რომელიცა მომცნა მე დედუფალმან მუშა-
ობისათუხ; ჩემდა არა შეგეგავს შემოვიკრას იგი, ვინადგან მე ვარ
მოახლე, სოლო მას აქუხ ნიშანი მეუობისა. სოლო ანსამ რქუა:
წარვედ ჩემგან, მე არა მნებავს ქმნად მისა: ვინადგან უფალმან
ფრთად დამამდახლა მე. ნუ უკვე ბოროტმან გამსილა შენ ესე, და
მოხველ, რათა ზიარძეო ცოდვისა შენისა. და მიუგო იუდიო: რად
სახმარ არს ვედრებამ ჩემი წინაშე შენსა, ვინადგან არა გნებავს
სმენად ხმისა ჩემისა? აჰა ამისთუხ დახმნა უფალმან ნაწლეგნი, რათა
არა მოგეტყვას ნაყოფი ისრაილსა შორის. ფრთად მწუხარე იქმნა ანსა,
გარსა განიძარცვნა სამოხელნი თუხისა გლოვისანი, შეიძეო თავი
თუხი ჭ შეიმოხნა თუხნი სამოხელნი საქორწინენი, და უამსა მე-
ცხრესა ბაღსა შინა თუხსა სეიწნობდა და ისილსა ხე დაფნისა და
დახვდა ქუჩაშე მისსა და იწყო ვედრებად უფლისა, მეტყველმან:
ღმერთო მამათა ჩემთაო, მომხედე, და შეისმინე ვედრებისა ჩემისა,
ვითარცა მიხედე შენ დედასა სარჩას და მიანიჭე მას მე ისაკვი.

ბ.

აღიხილნა თვალნი თუხნი ზეცად, და იხილნა მას ხესა ზეცად დათუნისას ბუდე (ხირისა, ჭიკჭაკისა) და აღმოუტევნა ტირილნი, მეტყველმან: ვაჲ ჩემდა, ვინა მშენა? ვითარმან მუცელმან მანარმოვა მე? ვინადგან შევიქმენ წყევად წინაშე ძეთა იხრალილხათა, მე სტინელ ვიქმენ, და შეურაცხებით განდევნილ ვიქმენ ტაძრისაგან უფლისა. ვაჲ ჩემდა ვინ მივემსგავსე მე? არა ვემსგავსე მე არცაღა მოწინაველთა ციხათა, ვინადგან მოწინაველნიცა ციხანი ნამყოფიერარიან წინაშე შენსა, უფალო. ვაჲ ჩემდა ვინ მივემსგავსე მე? არა ვემსგავსე არცაღა მხეტთა ქუჩყანისათა, ვინადგან მხეტნიცა ქუჩყანისანი ნამყოფიერ არიან წინაშე შენსა, უფალო. ვაჲ ჩემდა ვინ მივემსგავსე მე? არა ვემსგავსე წყალთაცა ამათ, ვინადგან წყალნიცა ესე ნამყოფიერ არიან წინაშე შენსა, უფალო. ვაჲ ჩემდა ვინ მივემსგავსე მე? არა მივემსგავსე ქუჩყანსაცა, ვინადგან ქუჩყანსაცა მოაქუჩ უამსა თუხსა ნამყოფი თუხნი და გაკუროთსეგს შენ, უფალო.

დ.

ღ აჲა წარმოუდგა მას ანგელისი უფლისა და ჳრქუა: ახნა, ახნა, უფალსა შეესმნეს ვედრებაჲ შენი, და შენ მუცლად აღიღო და შენე, და თესლისათუხ შენისა უთხრობდენ ქუჩყანსა. და ჳრქუა ახნა: ცხოველ იყავნ უფალი ღმერთი ჩემი; უკეთუ მე ვმკნე შვილი მამათა, ვინა დედათა სქესისა, შეესწირო იგი ნიჭად უფლისა ღმერთისა ჩემისა, და ვმხახურებდე მას ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, და მოვიდნენ მისა ორნი ღაღადისნი (მაუწყებელნი) და ეტყოდნენ მას: აჲა იოაკიმ ქმარი შენი, მოვალს სამწყმნით თუხითურთ, ვინადგან ანგელისი უფლისა მასცა გამოეტხადა, და ჳრქუა: იოაკიმ, იოაკიმ, შეესმნეს უფალსა ღმერთსა ვედრებისა შენისა, წარვედ ამიერ კერძო, აჲა ცოლმან შენმან მუცლად აღიღოს. და გარდა-

მოვიდა იოაკიმ და უბრძანა მწყემსთა თხზთა და ჭრქუა: მოძგვარეთ
მე აქა ათნი წმიდანი და უმანკონი კრავნი, და იქმნენ იგინი მსხ-
ვერზლად უფლისა ღმრთისა ჩემისა, და მოძგვარეთ მე ათთორ-
მეტნი ახალნი ზვარავნი და იქმნენ იგინი მღჳდელოთათჳს და მო-
ხუცებულთა და ახნი ვაცნი ყოვლისა ერისათჳს. და აჴა მოვიდა
იოაკიმ სამწყობით თხზით, სოლო ანა მდგომარე იყო კართა-
თანა, და იხილნა მოძგვარი იოაკიმ, მიიკლტოა და მოესვია ქედ-
სა მისსა, რქუა: აწ უწყო, რამეთუ უფალმან ღმერთმან უხვად მს-
კურთხნა მე; ვინადგან აჴა ყოფილი ქვრივად, აწ არღარა ვარ ქვრივ,
და უშვილმან მუცლად აღიღა; და განიხვენა იოაკიმ მას დღესა ში-
ნს სახლსა შინა თხზსა.

ქ.

სოლო განთიად მიაჩთმიდა რა იგი ძღვენთა, იტყოდა თჳს
შოროს: უკეთუ უფალი ღმერთი მოწყალე იქმნა ჩემსებას, მაშა თი-
ცარმან (*) მღჳდელოთავრისამან მიჩუწნოს მე, და მიაჩთვნა იოაკიმ
ძღვენი თჳსნი და ყურადღებით მისუდვიდა თიცარსა მღჳდელოთა-
ვრისასა, მიეახლა რა საკურთხეველსა უფლისასა და არა იხილნა
თჳს შოროს ცოდვად. სთქუა იოაკიმ: აწ უწყო, რამეთუ უფალი მო-
წყალე იქმნა ჩემსებას და მომიტეგნა ცოდვანი ჩემნი, — და გამოვიდა
ცადრით უფლისად და წარვიდა სახიდ თჳსად. და ამის შოროს აღ-
იხსნეს თვენი მისნი, და თვესა მეცხრესა შუწას ანა და ჴკითსა აღ-
მქმელსა (ბების) რად ვშევ მე? მან მიუგო: ახული. და სთქუა ანა:
დღეს განდიდნა სული ჩემი, — და დასდვა იგი. სოლო შეძგომად
აღვსებისა დღეთასა, ანა მრთულ იქმნა და აწოებდა ყრმასა და უ-
წოდა მას სახელი მარიაძე.

(*) რქოს თიცარი, რომელსა ზედა ივენეს გამოხატულნი სი-
ტევანი: სიწმიდე უფლისა, რომელიც დახვეწებულ იყო წინა მხრით
კიდარისა, გინა მიტრისა.

კ.

დღითი დღე ყრმა იგი აღორძინდებოდა, და ოდეს სრულ-
ექმნა მას თუ ექნა, დედამან დაადგინა იგი მიწასა ზედა, რათამ-
ცა გამხსნადოს უკეთუ იგი დასდგებინ, და ქქმნა რა შვიდი ბიჭი,
მიიქცა წიაღთადმი დედისა თუხისათა, დედამან მიიქცა რა იგი სულ-
თა ზედა სთქუა: ცხრკელ არს უფალი ღმერთი ჩემი, არა სვიდო-
დე ქუჭყანასა ზედა, ვიდრემდის არა ავიყვანო შენ ტამრად უფლი-
სა. და განამზადა ადგილი წმიდა საწოლსა შინა მისსა, და ყოვე-
ლივე სოფლური და არა წმიდა დაყენებულ იყო შესებად მისდა: ჭ-
მოუწოდა ანა უბიწოთა ასულთა ებრაელთასა, და იგინი ეახლებო-
დენ მას. ოდეს სრულექმნა ყრმისად წელიწადი, მაშინ იოაკიმ
ჭყო სერი დიდი, და მოუწოდა მღუდელთა, მწიგნობართა და მო-
ხუცებულთა და ყოველთა ერთა ისრაელთასა. და მოჭგვარა იოაკიმ
ასული თუხი მღუდელთა, და მათ აკურთხეს იგი, მეტყველთა:
ღმერთმან მამათა ჩუწნათამან, აკურთხნა ყრმაჲ ესე, და მიეტეს მას
სახელი დიდებისა, საუკუნო ყოველთა ნათესავთა შორის: და სმა
ჭყო ყოველმან ერთმან: იყავნ, იყავნ, ამინ. ამისა, შემდგომად მიაწ-
თვა იგი მღუდელთამთავართა და მათ აკურთხეს იგი, მეტყველთა:
ღმერთო დიდებისაო, მოინილე ყრმასა ამას ზედა და აკურთხე იგი
ყოველთა კურთხევითა, რომელსა არა აქუხ მკვიდრობა, და შეიყვან-
ნა იგი დედამან მისმან წმიდასა ადგილსა საწოლისა მისისასა და
აწოებდა მას, და შეუდგინა ანა გალობაჲ უფალსა ღმერთსა, მე-
ტყველმან: უგალობდე გალობასა უფალსა ღმერთსა, ვინადგან მო-
ინილა მან ჩემზედა და აღხრცა ჩემგან ყვედრებაჲ მტერთა ჩემთა,
და მოძანიჭა მე უფალმან ნაყოფი სიძარტლისა თუხისა, მხოლო
ძვირ-თვისა წინაშე მისსა. ვინ მიუთხრეს მეთა რუბენისთა, რამეთუ
ანა აწოებს ჭსძესა? ისმინეთ, ისმინეთ ათთორმეტნო ტომნო ის-
რაელისანო, რამეთუ ანა აწოებს ჭსძესა. და განუხვესა ყრმასა წმი-

დასა საწოლსა შინა თვსსა და გამოვიდა და მხახურებდა ძეინახეთა,
ხელთ შემდგომ სერობისა განვიდნენ მხარულნი და მახებელნი
ღუთისა ისრაილისა.

ზ.

შეეძატნეს ერძისა მას თვენი და ერძა იგი შეიქმნა ორისა
წლისა და რქუა იოაკიმ ცოლსა თვსსა ანას: წარვიყვანეთ იგი
ტაძრად უფლისა, რათა შეუსრულეთ უფალსა აღნათქვამი, რე-
ძელი აღუთქვთ ჩუწნ უფალსა, რათამცა არ განგდებულავიქმნეთ
უფლისა მიერ, და მსხვერპლი ჩემნი იქმნეს არა კეთილ-შესაწყენ-
ბელ; და რქუა ანას: ვჭყოვნეთ ვიდრე მესამე წლამდე, რათამცა ერძა
არა მიგვეღოს მამასა გინა დედასა. და რქუა იოაკიმ: ვჭყოვნეთ, და
სრულ იქმნა რა ერძა წლისა სამისა, სთქუა იოაკიმ: მოუწოდეთ
უბიწოთა ასულთა ისრაელისათა და რათა მათ აღიღონ თვთოელ-
მან ლამზარნი, და დახდეს აღმგებელნი, რათა ერძა არა მართლ-
უკუნ იქცეს და რათა გული მისი აღტყინებულ იქმნეს ტაძრითა
უფლისათა, და ჭყკვს ეგრეთ, ვიდრემდის მოვიდოდენ ტაძრად უფ-
ლისა და მიიღო იგი ძღუდელმან, ჳ ამბოღს-აუყო, აკურთხნა იგი
და სთქუა: განადიდოს უფალმან სასული შენი ყოველსა ნათესავსა
შორის. შენზედა უკანასკნელთა დღეთა ჩუწნოს უფალმან ძეთა
ისრაელისათა გამოხსნად თვნი. და დასვა იგი მესამესა კიბისა აღ-
სავალსა ზედა საკურთხეველისასა, და განაბრწყინვა იგი უფალმან
ღმერთმან მადლითა, და იგი სისარულითა ხელტოდა თქრისითა თვ-
სითა, და შეიყვარა უფალმან ღმერთმან ისრაელისამან.

დ.

ღ წარვიდნენ მშობელნი მისნი, განკვირვებულნი და მადიდე-
ბელნი უფლისა ღუთისა მისთვს, რამეთუ ერძა მათი არღარა მო-
იქცა უკუნ. დადგრომილ იყო მარია ტაძრსა შინა უფლისასა, კი-

თარცა გამომწვდილი ტრედი, და მიიღებდა საწრდელსა ხელისაგან ანგელისისა. ხოლო ოდეს შეიქმნა იგი ათთორმეტისა წლისა, იყო რხევად შორის მღუდელთა, რომელნი იტყოდენ: აჴა მარამ მიიწია ათთორმეტის წლის ჴასაკსა ტადარსა შინა უფლისასა; და ესრეთ რად ვჴყოთ მისთანა, რათამცა მან არა ვითარად დაარღვიოს სიწმიდე უფლისა? და მოახსენეს მღუდელთაძითავარსა: შენ მდგომარე ხარ წინაშე საკურთხეველსა უფლისა, შევედ და ილოცე მისთვის, და რასაც ცხად გეოფს შენ უფალი, ვჴყოთ იგი, და შევიდა მღუდელთაძითავარი, მოიღო (დოდეკანდონი) ესე იგი სამღუდელთაძითავარე შესამხელი იბ-ის ეუკანით წმიდასა შინა წმიდათასა, და ილოცვიდა მისთვის. და აჴა წარმოუდგა ანგელისი უფლისა და რქჴა მას: ზაქარია, ზაქარია, წარვედ და მოხადე ქერითა ერისაგანთა, და რათა მოიღონ თუთოეულმან მათგანმან კვერთხი, და ვისცა უფალი უჩვენებს ნიშსა, მისა იქმნების იგი ცოლად (დაცვიოთ ქალწულებისათა) და წარვიდნენ მიმთხრობელნი ყოველთა გარემოთა იუდაისათა, და სმალყო საუვირძან უფლისამან, და ყოველნი მოიკლტოდენ.

თ.

იოსებმან დაავდო ცული, ეგრეთვე მოვიდა მათსა შესაკრებელსა ადგილსა. და შეკრბენ რა მივიდნენ მღუდელთაძითავარისად, წამლებნი კვერთხთა, ხოლო მან მიიღო ყოველნი იგი კვერთხნი, შევიდა სიწმიდესა შინა და ილოცვიდა. და აღახრულა რა ლოცვად, მან აღიღო კვერთხნი იგი, გამოვიდა და მისცნა ყოველთა კვერთხნი თხსნი, გარსა არა იყო მათ ზედა ნიში. უკანასკნელი კვერთხი მიიღო იოსებმან: და აჴა მტრედი გამოვიდა კვერთხისაგან და აღოწინდა თავსა ზედა იოსებისასა. და რქჴა მღუდელმან იოსებს; შენ წილხდომითა გამოჩეულ ხარ მიქმად თხსდა დასაცველად ქალწული უფლისა, გარსა იოსებმან ზირისპირ უზახუსა მეტყველმან:

მე მივის ძენი და უკუჩქ მოხუცებულ ვარ, ხოლო იგი არს ძორნი, რათა არა ვიქმნე საცინელ წინაშე ძეთა შორის ისრაილთასა, და რქუა მღუდელმან იოხებს: გემინოდენ უფლისა ღუთისა შენისა, და მოისხენე თუ რაჲ უფო ღმერთმან დათანს, აბირონს და კორებს, ვითარ განსქდა ქუჩყანსა და იგინი დაინთქნენ მას შინა თუხისა ურჩებისათუხს, და შენცა იოხებ, გემინოდენ აწ, რათა არა მოაწიონ ესე ვითარმან სახლსაჲყდა შენსა. და შეეშინა იოხებს ჳ მან მიიქუა იგი თუხთათანს დასაცუკლად. და რქუა იოხებმან ძარიაძს: აჴა მიგითვალე შენ ტაძრისაგან უფლისა, და აწ დაგიტეკებ შენ სახლსა შინა ჩემსა; ვინადგან წარვალ მუშაკობად სურთოდოდგრობის საქმისა ჩემისათუხს, და მოვიქცე შენდა (ოდეს ენებოხ უფაღსა); დაგიცვას შენ უფაღმან.

ი.

ამისა შემდგომ იქმნა ზრუნვა შორის მღუდელთა, რომელნი იტყოდნენ: ვქმნათ გრეტსაბმელი ტაძრისათუხს უფლისა, და სთქუა მღუდელთმთავარმან: მომიწოდეთ მე უბიწოთა ქალწულთა თესლისაგან დავითისა, და წარიდენ მსახურნი და ეძიებდენ, და ჳზოვეს შვიდნი ქალწულნი, და მოესხენა მღუდელსა ყრმისათუხს ძარიაძისა, რამეთუ იგი იყო ტომისაგან დავითისა და წმიდა წინაშე ღუთისა და წარვიდნენ მსახურნი და მოიყვანეს იგი, და შეიყვანეს იგინი ტაძრად უფლისა; და სთქუა მღუდელმან: წილიაგდეთ ვისა სკდების რთვა რქრომკედისა და შემკობა ამიანტონი (ქვისა), ბამბისა ჳ აბრაშუძისა, ღიაცინტისა, მეწამულისა და ნამდვილისა ძოწეულისა. და სკდა ძარიაძს ნამდვილი ძოწეული და მეწამული და წარმოიღო იგინი, იგი წარვიდა სახიდ თუხად. უამსა ამას ზაქარია დადგროძილაიყო უტევად ჳ ნაცუკლად მისა იყო სიმული (ვიდრემდის არ მეტეველ იქმნა ზაქარია). ხოლო ძარიაძმან, წარიდო რა მეწამული, იწყო რთვად.

იბ.

ღ ადილო რა წყლის სავსებელი, გავიდა იგი ვსებად წყლისა; და აჴა ესმნეს მას სმა, მეტყველი: გინაროდენ მიმადლებულა, უფალი შენთანა, კურთხეულხარ შენ დედათა შორის, და მიმობილვიდა მარჯვენით და მარცხენით (რათა იხილოს) თუ სადედგან არს სმა ესე, და იყო რა იგი შიშსა შინა, მოიქცა სახიდ თვსად და დახდვა წყლის სავსებელი, და ადილო თვსი იგი მოწეული, ჳ დასკვდა თვსსა დასაკდომელსა და იწყო რთუად იგი, და აჴა წარმოუდგა მას ანგელოზი უფლისა და ეტყოდა: ნუ გეშინინ მარიაჲ, გინადგან შენ გიზოგნიეს მადლი წინაჲჲ უფლისა ყოველთასა, და მუცლადილო სიტყვისაებრ მიხისა. და მას ესმნეს რა ესე განიზრახვიდა თვს შორის: ნუ უკუჴს მე მუცლადვილო უფლისაჲ მიერ ღუთისა ცხოველისა, და ვჴს, ვითარცა შობს ყოველივე დედაკაცი? და ჴრჴკა ანგელოზმან უფლისამან: არა ესრეთ, მარიაჲ; არამედ ძალი უფლისა გუარვიდეს შენ, ამისთვისცა შობილსა შენგან წმიდად, ეწოდოს მე მადლისა. და უწოდო სახელი მიხი იესო, რამეთუ იხსნას ერი თვსი ცოდვათაგან, და სთჴჴს მარიაჲ, აჴა მსევალი წინაჲჲ მიხსა, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა.

იბ.

და სრულჴყო რა მან მოწეული იგი და მეწამული და მიართვა მღვდელ-მთავარსა, მღვდელ-მთავარმან აკურთხა იგი ჳ რჴჴს: მარიაჲ უფალმან ღმერთან განადიდა სახელი შენი ჳ შენ იყო კურთხეულ ყოველთა ნათესავთა შორის ჴჴსჴსანისათა. ადივსო რა მხიარულებითა, მარიაჲ წარვიდა ელისაბედისთანა ნათესავისა თვსისა, ჳ დაურჴკა კარი, სოლო ელისაბედს რა ესმნეს დაუტევა მეწამული ჳ მიივლტოდა კარისადმი ჳ განულო კარი, ჳ იხილა მარიაჲ, აკურთხა იგი ჳ რჴჴს, ვინ არს ესე, რათა მოვიდეს ჩემდა დედა უფლისა ჩემდა?

ვინაღვან აჭა მყოფიან ჩემ შორის აღიმდურნა და გაკურობნა შენ, სოლო მარიაძე არა მისწვთა საიდუმლოთა, რომელთათვის ახარა მას მთავარანგელოზმან გაბრიელ, და აღიხილნა თვალნი თუნთი ზეცად და იტყუადა: ვინა ვარ მე უფალო, რამეთუ ყოველნი ნათესავნი ქრისტეანისანი მსჯებენ მე და დაადგრა ელისაბედისთანა. რამეთუ ამის შორის მუცელი მისი დღითი დღე შეიქმნებოდა აღსავსე: და მარიაძე შიშითა წირვიდა სახიდ თუხად, და იფარვიდა თავსა მეთაგან ისრაილისათა. სოლო იყო იგი წლისა თექვსმეტისა. ოდეს სრულ იქმნეს საიდუმლოანი ესე იქმნა რა მისა თვე ექვსი, და აჭა იოხებ უკმრთეცა თუნთისა სურობისა მუშაკობისაგან, და შერავიდა სახლსა შინა თუნთსა, შეისწავა იგი მუცელქმნილად, და იტყუადა ზირისა თუნთსა და დავარდა ძაძისა ზედა ქრისტე და მწარედ სტიროდა, მუცელი: ვითარითა ზირითა მივსედნე უფალოს დმერთსა ჩემსა, ვითარ ვილოცვიდე ერმისა ამისთვის, ვინაღვან მე მივითვალე იგი ტამრისაგან უფლისა ქალწულად და არა დავიტყუე? ვინ დამიგნა მასენი, ვინ ჰქმნა ბოროტი ესე სახლსა შინა ჩემსა და შეიბილწა ქალწული? მით რომელ ვითარცა უამსა მას, ოდეს ადამ მოცალე იყო დიდების მეტყუელებითა თუნთთა, მივიდა გველი და ჰპოვა ევა მარტომსოლო და აცდუნა, ესრეთვე შემემთხვა მეცა. და აღსდგა იოხებ ძაძისაგან თუნთისა და მოუწოდა მარიაძეს და რქუა მას: შენ ღირს ქმნილმან მზრუნველობისა ღმერთისა, რაჲ ჰყავ ესე და დაივიწყე უფალი დმერთი შენი? რაჲსათვის დაამცირე შენ სული ჩემი, შენ, რომელი აღიზარდე წმიდასა შინა წმიდათასა და მიიღებდი საზრდელსა ანგელოზისაგან? მანცა მწარედ აღმოიტირა და ჰხთქუა, რამეთუ მე წმიდა ვარ და ქმარი არა უწყი, და რქუა მას იოხებ: და სადეთგან არს მყოფი მუცელსა შენსა? სოლო მან რქუა: ცხოველარს უფალი დმერთი ჩემი, რამეთუ მე არა ვიცი სადეთგან არს იგი ჩემ შორის.

იდ.

ღ ოგრიად შეშინებულაქმნა იოხუბ, სოფელ იქმნა იგი განსვენებულ და განიზრახვიდა ამას ზედა თუ რად უყობ მას. და რქუა იოხუბ: უკეთუ მე დავოგარო ცოდვად მისი, მამინ გამოვხსნდები წინააღმდეგი ჭხულისა ღმრთისა, და უკეთუ განუცხადო ამისთვის ძეთა ისრაელისათა, მეშინის, რამეთუ იქმნების მეოფი მის შორის არა წმიდა, მე შევიქმნები მიმცემი უბრალელსა სისხლისა სიკრულად. ზ ესრეთი რად ვჭყო მე მისთანა? განუტოო იგი ოგრიულად. და შემოეწია მას ღამე და ანგელისი უფლისა გამოეცხადების მას ძილსა შინა და ეტყვის: ნუგემინის ახულისა მაგისთვის, რამეთუ მეოფი მის შორის სულისაგან წმიდისა არს. შვეს მე და უწოდის ხასელი მისი იესო. რამეთუ მან ისხნას ერი თვისი ცოდვათაგან. ზ განიღვიძა იოხუბ ძილისაგან და ადიდებდა ღმრთისა ისრაელისასა, რომელმან მიანიჭა მას ესე კითარი მადლი და დაიცვა იგი.

იე.

მამინ მოვიდა მისა ანსა მწიგნობარი და რქუა მას: რად არა გამოცხადდი შეკრებულებსა შინა ჩუწნსა? და მიუგო მას იოხუბ: მით, რომელ მედამსგრალმან გზისაგან ვინებუ ზირკულსა დღესა, განსვენებად ხასლსა შინა ჩემსა. და მიიქცა ანსა და იხილა მარიაძი მუცელაქმნილად. და მიიუღტოდა მღრღელაძითავარისადმი და ეტყოდა მას: იოხუბ, რომელსა შენ ჭწამებდი მართალყოფასა, მოქცეულ არს ოგრიად უხუჯლოდ. და რქუა მას მღრღელაძითავარმან: რად არს? და მან მიუგო: ქალწული, რომელიცა მიითვალა ტადრისაგან უფლისა, მან შეუბილწებებს, დაუოვარავს ქორწინებად და არა განუცხადებია ძეთათვის ისრაელისათა. — და მიუგო მღრღელაძითავარმან: ესე ჭყო იოხუბ? და მიუგო მწიგნობარმან მან ანსა: წარა-

ვლინე მსახურნი და სცნა, რამეთუ ქალწული მუცელქმნილას და წარვიდნენ მსახურნი და ჭბოვეს ვითარცა იტყოდან იგი და მოიყვანეს იგი ერთად იოსებისათნა სამსჯავროსა შინა. და რქეს მას მღუდელმთავარმან: მარიაჲ რა გიქმნიეს ესე? რამხათჳს დაგიმდაბლებიეს ხული შენი და დაგვიწყებოეს უფლისა ღმრთისა შენისათჳს? რომელი იმყოფებოდი წმიდასა შინა წმიდათასა, მიიღებდი საზრდელსა სელისაგან ანგელისისა, გესმოდა გალობა მისი პირისაგან მისისა და იშვებდი წინაშე მისა, რამ გიქმნიეს ესე? სოლო მან მწარედ აღმოძტირალმან სთქეს: ცხოველას უფალი ღმერთი ჩემი, რამეთუ მე წმიდა ვარ წინაშე მისა და ქმარი არა ვიცი. და რქეს მღუდელმთავარმან: ნუ სიტყუით ჭსწამებ, არამედ იტყოდე სიმართლესა. შენ მიიზარე ქორწინებაჲ მისი და არა ცხადუყვავ მეთა ისრავლისათა, და არა მოუდრიკე თავი შენი სელსა ქრისტე მკურთხელისა უფლისა, რათამცა კურთხეულყოფილ იყოს თქელი შენი. სოლო იოსებ სდუმნა.

იკ.

ღ რქეს მღუდელმთავარმან: მიეცი ქალწული, რომელმანცა მიითვალე ტაძრისაგან უფლისა. და ჭსტრემლეოდა იოსებ; მაშინ რქეს მას მღუდელმთავარმან: გასვა თქუენ წყალი სამხილებელი უფლისა, და ღმერთმან ცხადჳყოს ცოდვანი თქუენნი წინაშე თავათა ჩუენთა. და მოიღო წყალი მღუდელმთავარმან ჳ ასვა იოსებს და წარავლისა მთად და მოიქცა იგი მრთელ. ასვა ეგრეთვე მარიაჲმსაცა, და იგიცა წარავლისა მთად; და იგიცა მოიქცა უვნებელად და განსცვიორდა ერი იგი, რამეთუ არა აღმოჩნდა ცოდვა მათ შორის, და რქეს მღუდელმთავარმან: ვინადგან უფალმან ღმერთმან არა ცხადჳყო ცოდვანი თქუენნი, მაშა არცა მე განგიკითხავ თქუენ. და განუტევა იგინი, და წარიყვანა იოსებ მარიაჲ და წარივიდა სახიდ თჳხად, მოხარული ჳ მადიდებელი ღმრთისა ისრავლისა.

იხ.

ამის შორის გამოსდა ბრძანება აგვისტოს კერისრისაგან აღ-
წერად ყოველთა ბეთლემს ურისტანისასა: და სთქჳს იოხებ: ძენი
ჩემნი აღვსწერო მე, ხოლო ქალწულსა ამას რაჲ უყო? ვითარ და-
ვსწერო იგი? უკეთუ ცოლად? მრცხვენის, ასულად? გარნა ყოველ-
თა ძეთა ისრაილისათა უწყიან, რამეთუ არა არს იგი ასული ჩემი;
თუთ დღემან უფლისამან ახუნსონ, ვითარცა ნებაჲს უთქალსა. &
აღაგნა კარაული & აღვსნა იგი & წარვიყვანა იგი ძემან მისმან, ხო-
ლო იოხებ მეორით გზით შეუდგა მას, & მიესალს სამ უტევან
ესე იგი არს ნაბიჯსუდ & მოიქცა იოხებ & ისილნა იგი მწუხარე,
& სთქჳს თჳს შორის, ნუ უკვე მეოფი მის შორის აჭირებებს მას.
ხოლო მეორედ მისედნა იოხებ & ისილნა, რამეთუ განილიმნა მან
& რქჳს მას: მარიაჲ რაჲ არს ესე, რამეთუ მე განვიტდი ზირსა შენ-
სა ოდესმე მოცინარედ & ოდესმე მწუხარედ? & მარიაჲ რქჳს იო-
ხებს: იგი რამეთუ მე განვიტდი თვალით ჩემით ორსა ერსა, ერთ-
სა მტირალსა & მგოდებელსა, ხოლო მეორესა მხიარულსა და მშუ-
ბელსა. და წარვიყვანე კვალად გზა ნახევარი, და რქჳს მას მარიაჲ:
შთამომიყვანე კარაულისა ამისაგან, ვინაღგან მეოფი ჩემს შორის
ძაიძულებს მე სვლად. და მან შთამოხვას იგი კარაულით და რქჳს
მას: სად წარვიყვანო შენ და დაკუთარო სირცხვილი შენი?: ვინაღ-
გან უდაბნო არს ადგილი ესე.

ილ.

& ვინილნე მე შთამომავალი მთით დედაკაცი, რომელმანცა
მრქჳს მე: ჳი კაცო, სადეთ მისვალ შენ? მე მიუგე: ვეძიებ
ადმქმელსა ებრაელთაგანსა. ვახუსად ამისა ძეითსა მე: შენ სარა
ისრაელთაგანი? მე კარქჳ მას: ჳე: ნამდვილ ესრეთ. ხოლო მან
მრქჳს: ვინ არს ქჳბსა შინა შობილი? მე კარქჳ: დაწინდებელი ჩემი.

კუალად მან მრჩეს: იგი არა არის ცოლი შენი? მაშინ ვარჩე მე მან: იგი არის მარია, აღზრდილი ტაძარსა შინა უფლისასა, და მივიქვი იგი წილ ხდომით ცოლად, გარნა იგი არა არის ცოლი ჩემი, არამედ უკის მუცლად-ღებული სულისა მიერ წმიდისა. ჭ რჩეს მან აღმქმელმან მართალ არსა ვსე? და რჩეს მან იოხებ: მოვედ და ისილუ, და წარვიდა მისთანა აღმქმელი. და დახდგენ ორნივე მახლობელ ქუაბისა მის, და აჴა ბრწყინვალემან ღრუბელმან განანათლას ქუაბი იგი და სთქეს აღმქმელმან: აწ განდიდნა სული ჩემი, ვინადგან თვალთა ჩემთა ისილნეს სასწაული. ვინადგან იშვა ცხოვნება ისრაილთა, და შეის ღრუბელი უკუნ-იქცა ქუაბისა მისგან. და გამოხსნდა ქუაბსა მან შინა ნათელი დიდი, მით, რამეთუ იგინი ვერღარა დაითქნდენ მან, და მცირედისა ყაძისა შემდეგ, ნათელი იგი განეშორა, ვიდრემდის გამოხსნდა ყრმა იგი, და გამოვიდა და აწოებდა მან სძესა დედა მისი მარია. და დადად-ჴყო აღმქმელმან ჭ ჳსთქეს: დიდ არს დღეინდელი დღე ესე ჩემთჳს, ვინადგან ვინილუ ახალი ესე სასილგული, და გამოვიდა აღმქმელი განკვირვებული ქუაბისაგან. და შესედა-რა სალომეს, რჩეს მან: სალომე, სალომე, მე მნებავს მოგიტნა შენ ახალი სასილგული. შუა ქალწულმან კე, ორმელსა დაუთმო ბუნებამან მისმან და ქალწული იგი დაადგრა ქალწულად. და სთქეს სალომე ცხოველ არს უფალი დმერთი ჩემი, უკეთუ არა განვიძრტნე თითი ჩემი ჭ გამოვიძიო ბუნებაჲ მისი, ვიდრემდის, არა მრწმენეს, რამეთუ შუა ქალწულმან.

ოთ.

ღ ჳზოვა მუნ ქუაბი ჭ შეიყვანა იგი, და დაუდგინა მუნ ქენი თჳხნი და წარვიდა ძიებად აღმქმელისა (ბეზიისა) მხარესა მან ბეთ-ლეძისასა, და აჴა მე იოხებ ვიდოდი და ვერ ვჳზოებდი: და მივსედე ჳკერსა და ვინილუ ჳკერი იგი შებეჭდილ, მივხედნე საქახელსა

ცხასა, და ვინილუ იგი შეუენებულ, ფრინველნიცა ცხასნი დამდვარ იუენენ ფრინვისაგან; მივხედნე ქუესყანასა და ვინილუ ვინაკი დამდვარი სარდელეთურთ და მუშაკნი მსდომარენი გარემოს და ყოველნი მათნი გარემოს ვინაკისა და მკამელნი იგი აღარა ჰსჭამდენ, და მიძებნი სარდელსანი აღარა მიიღებდენ, გარნა ვინი ყოველთანი მიძარტებულ-იუენენ ცხადმი, და ვინილნე განდევნილნი ცხოვარნი, გარნა ცხოვარნი იგი მდგომარე იუენენ, და აღიღო მწეკმსძან სელი თუნი, რათამცა განსდევნოს იგინი, გარნა სელი მინი დამთა აღებულად, და მივხედნე ნაკადულსა მდინარისასა, და ვინილნე, რომელ ვინი ვაცთან, რომელნი შეუენებოდენ წყალსა, არა სმიდენ; და ყოველივე ესე მას წამსა შინა შეუენებულ-იყო თუხისა მსვლელობისაგან.

ბ.

ღ ვითარ განძარტებდა სალომე თითსა, მუის ღაღად-ჰყო და სთქუეს: ვად უღმრთოებასა და ურწმუნოებასა ჩემსა, ვინდვან მე ვიკადრე განცდად ღუთისა ცხოველისა და აჭა სელი ჩემი ცეცხლისაგან განვარდების ჩემგან, და დაიდრიკნა მუხლნი თუხნი წინაშე ღუთისა მეტყუელძან: ღმერთო მამათა ჩუესნთაო, მომიხსენე მე, რამეთუ ვარ თესლი აბრამისა, ისააკისა და იაკობისა: ნუ სირცხვილეულ-მყოფ მე წინაშე მეთა ისრაილისათა, არამედ მრიდე მე გლასაგათა თუხ; ვინაიდვან მე ვუწეი, რამეთუ მე სახელისა შენისათუხ აღმინრულებიეს მსახურებაჲ ჩემი და შენგან მსურდა სახუიდელისა. და აჭა წარმოსდგა ანგელისი უთელისა და რქუეს მას: სალომე, სალომე, უთვალსა შეკმნეს შენი: მიართვი სელი შენი ყრმასა მაგას და იზყარ იგი და იქმნას შენდა სიმრთელე და მსინრულება. და მივიდა სალომე და მიიქვა იგი ხელთა ზედა, მეტყუელძან: ამას თაყვანის-კცემდე, ვინადვან ესე მეუფე დიდი იმუეს ისრაელისადა, და მუის განი-

კურსს ხალაძე და გამოვიდა ქუაბით განმარტლებული, და აჭა სმა
ესმენეს მას: ხალაძე, ხალაძე, ნურაღს ვინმე უთხრობ განსაკრთო-
მელსა ამის სილვისათვის, რაღაცა იხილე, ვიდრემდის არა აღვიდეს
ყრმა ესე იერუსალიმად.

კა.

ღ აჭა მსებ განემზადა წარსკლად ურიასტანად. სოლო ბეთ-
ლემს შეიქმნა დიდი აღშოფოთებაჲ, მით, რომელ მოვიდნენ მოგონი
და იტყოდენ: სადა უკვე იშვა მეფე ურიათა? რამეთუ ვინილეთ ჩუ-
წნ ვარსკვლავი მიხი აღმოსავალს და მოკედით თაყვანისცემად მი-
სა. და ესმა რა იროდის შეძრწუნდა და წარავლენსა მსახურნი მო-
გოთადმი, და შეძგომი მოუწოდა მღჳდელთ-მთავართა და ჳკითხვი-
და მათ, მეტყველი: ვითარ წერილ-არს ქრისტესთვის, სადა უკვე-
ჳკრ-არს შობაჲ მისი? და ეტყოდეს მას: ბეთლემს ურიასტანისასა,
ვინადგან ესრეთ წერილ-არს; და განუტეგნა იგინი. მიერიდგან ჳკით-
ხვიდა მოგოთა, მეტყველი მათდა: ვითარი ნიში იხილეთ შობილი-
სა მეუფესათვის? მოგოთა მიუგეს: ჩუწნ ვინილეთ თურიად დიდი
ვარსკვლავი, რომელი მნათობდა შორის ვარსკვლავთა მათ და ახნე-
ლებდა მათ ესრეთ, რომელ ვარსკვლავნი ესე კნინ ოდენდა ჳხხნდეს,
და ესეთითა სახითა ჩუწნ ვსტანით, ვითარმედ იშვა მეუფე ურიათა
და მოკედით თაყვანისცემად მისა. და რქჳს მათ იროდი: წარკედით
და მოიძიეთ, და ოდეს ჳზოგოთ იგი მითხარით მე, რათა მეცა მი-
ვიდე და თაყვანისცე მას. და გამოვიდნენ მოგონი, და აჭა ვარსკვ-
ლავი რომელი იხილეს აღმოსავალით, წინაუძლოდა მათ, ვიდრემ-
დის მოიწივნენ იგინი ქუაბად, და დასდგა შესავალსა ჳკდა მის
ქუაბისასა. იხილეს ყრმაჲ იგი მარიამისთანა დედისა მისისა და
აღაღეს საუნჯე და შესწირეს მისა ოქრო, გუნდრუკი და მური, და
მოიღეს ბრძანებაჲ ანგელ-ოხისაგან, რათა არღარა მიიქცნენ ურიას-
ტანად, არამედ ხსვით გზით წარვიდნენ სახიდ თვისად.

კბ.

მამის ირადიმ გულისხმდაჲყო, რამეთუ იგი მოიკიცხა მოგუ-
თა მათგან, განრისხნა, და წარავლინნა მომხვრელნი და ეტყუდა
მათ: მოაკვდინენით ყრმანი რრიწლიდგანი და უდარესნი; სოლო
მარიაჲს რა ესმა ესე, რამეთუ მოხვრიან ყრმანი, შეშინებულმან
მიიქრეს ყრმა იგი თჳსი და შესვია იგი და მიაწვინა ბაგასა პირუტყვ-
თასა. ელისაბედს ესმნეს რა, რამეთუ ეძიებენ იოანეს, წირიყვანა
და წარვიდა მთად და მიმოხილვიდა თუ სადა დაჰმალოს იგი, გარ-
ნა არა იყო აღგილი ფარული, და აღმოუტყვა ელისაბედ სმად-
დიდი და სთქვა: მთაჲ ღმთისაჲ მიიღე დედა ძითაჲრთ! და ძეის
განელო მთა და მიიღო იგი და განუნათლებდა მათ ნათელი და
იყო მათთანა ანგელონი.

ბბ.

ამის შორის ირადი ეძიებდა იოანეს, და მიუკვლინა მამასა
მისსა მეტყუელმან თუ სადა დაჰმალე შენ ძე შენი? სოლო იგი ზა-
ხუსს უკებდა მათ: ძე გარ მსახური ღმთისა და კჳგიე ტადარსა ში-
ნა უოვლისასა და არა უწეი, თუ სადა იპოების ძე ჩემი. და მივიდ-
ნენ მსახურნი და ესე ყოველი აუწევს ირადის; განრისხნა ირადი
და ბრძანა: ძე მისი მეფობდეს ისრაილსა ზედა, და მიუკვლინა კვა-
ლად მეტყუელმან: სთქუ ჭემდარიტი თუ სადა იპოების ძე შენი?
ვინადგან უწეი შენ, რამეთუ სიტყვსლე შენი სელსა შინა ჩემსა
არს. და მიუგო ზაქარია: ძე გეწამები ღმერთსა, — უკეთუ შენ დას-
თხეკ სისხლსა ჩემსა, მამინ სისხლსა ჩემსა მიიღებს უოვალი, მით
რამეთუ შენ დასთხეკ სისხლსა უბრალოსა წინაჲე ტადრისა ღმთისა.
და განთიად დღესა მას ზაქარია მოკლულ-იქმნა, და ძეთა ისრაი-
ლისათა არა უწეოდენ, რამეთუ იგი მოკლულ არს.

კდ.

ღ უამსა რა აძბორის ყოფისასა, შეკრბნენ მღჳდელნი ტაძარ-
სა შინა, და არა წინა-უძლოდა მათ ჩვეულებრივი გურთხევა ზაქარია-
სნი. და მდგომარე იყვნენ მღჳდელნი მოძლოდნენი ზაქარიასნი,
რათამცა მოიკითხონ იგი ლოცვითა და აღიდებდენ მალაღსა, და
კინადგან-ჰყონა მან, მაშინ ყოველნი იგი მოცულ-იყვნენ შიშითა,
გარნა ერთმან მათგანმან იკადრა და შევიდა შინაგან სიწმიდესა და
ინილა საგურთხეველსა ზედა სისხლი აღდულებული და ესმნეს ხმა,
მეტყველი: ზაქარია მოკლულ-არს და არა აღიხორცოს სისხლი მისი,
ვიდრემდის ნაცვალ-აგოს მის წილი. ესმნეს რა სიტყვანი ესე შეე-
შინა მას ჳ გამოვიდა და უთხრა მღჳდელთა, და მათცა იკადრეს და
შევიდნენ ინილეს რადაცა იყო, და ზღუდეთა ტაძრისათა სმა-ჰყვეს
გოდებისა და თვთ მათცა დაიპეს შესამოსელი ზეიდგან, ვიდრე
ჰკედმდე; ხოლო გვაძი მისი ვერ ჰპოეს, არამედ ჰპოეს სისხლი მი-
სი ჰჳს-ჰმნილი, და განკრთომილნი შიშითა გამოვიდნენ და უთხრეს
ერსა, რამეთუ ზაქარია მოკლულ-არს და ესმნეს ყოველთა თესლ-
ტომთა ერისათა მისთჳს, და იგლოვდენ სამ-დღე და სამ-ღამე. შემ-
დგომ სამისა დღისა მღჳდელთა ზრასკა-ჰყვეს, თუ ვინ დაადგინონ
ნაცვალად მისა, და გამოუხდა წილი სვიმეონს; და იგი უწყებულ
იყო სულისაგან წმიდისა, რამეთუ იგი არა ინილავს სიკვდილსა,
ვიდრე არა ინილავს ჰრისტე ხორციითა.

კე.

ხოლო მე იაკობ აღვსწერე რა ისტორია ესე იერუსალიმს,
უამსა ყოფილისა მის შოგოთისასა, ოდეს მოკვდა იროდი, ვიმაღვი-
დი უდაბნოსა შინა, ვიდრემდის დასცხრა შოგოთი იერუსალიმსა ში-

ნა. ვადიდებ უფალსა ღმერთსა, რომელმან მომცნა ნიჭი და სი-
ბრძნე აღწერად მოთხრობისა ამის, იყავნ მადლი მისი ყოველთა ზე-
და მოძიშთა უფლისა ჩუქნისა იესო ქრისტესთა, რომლისა არს
დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

რუსულიდან გარდმოღებულარს. დეკანოზი გიორგი გამრეკელიძე.

სწავლა ღოცვისათვის უფლისა.

უფალა, გვასწავე ღოცუაჲ (ლუკას. თავ. მუ. 5). ესრეთი ღოცუაჲ აღაკლინეს ოდესმე მოციქულთა იესო ქრისტესთა ღოცვისათვის, და უფალმან ასწავა მათ, და მათ მიერ ჩუწნდა ყოველთა ღოცუაჲდ. ვითარ გუასწავა? მან მოგვცა ჩუწნ ესრეთი ღოცუა, რომელიცა არს სახე ყოველთა ღოცუათა, და ერთბაშად თუთ უუძგობესი სწავლაჲ ღოცვისათვის; ამისთვის რომელ იგი გუასწავებს, რადხათვის თანამდებარით ღოცუაჲდ, რადხათვის უწინარეს, რადხა შემდგომ და ვითარითა განწყობითა სულისათა. ქრისტეანენო! ჩუწნ ყოველთა უწყით ღოცუა ესე უფლისა, და ეკვლებიაცა სშირად განგვიძეორობს ჩუწნ ამას. და რად არსა? ჩუწნ ყოველთა უწყით ესე ვითარცა ჯერად არსა? შესაძლებელ არს, ყოველნი ვიგულისხმიანებთ გონებითა, ესე იგი ვიტყვით ღიწხებასა სიტყუათა ღოცვისათა, მაგრამ ნამდვილი არს ესე, რომელ არა ყოველნი ვსცნობთ სიტყუებასა მისსა გულისათა; ესე იგი — წარმოვსთქუამთ ზიროთა სიტყუათა ღოცვისათა და არა ვგონობთ სიღრმესა მათსა საგონობელითა გულისათა, რომელ ღოცუა უფლისა მისცემიეს არა ესოდენ გონებასა, რადდენ ბაგეთა ჩუწნთა, და იგი მაშინ მხოლოდ იქმნების ღოცუაჲდ ჩუწნდა, ოდესცა წარმოითქმის არა მხოლოდ ბაგითა, არამედ სრულითა გონებითა და გულისათა. გარსა ვისწავოთ, საყვარელნო, ვისწავოთ თუთ ღოცვისაგან უფლისა, ვითარ თანამდებარით

ღმრულებად ჭაზრთა მისთა, და დაუხველად წარმოთქმად მისა.

უფალა, გვასწავე ჩუწნცა ლოცუნად! გუასწავე, ვითარ ვიგულისხმეთ ჩუწნ სულისთა და გულისთა მოცემული შენამიერ ლოცუნა, და ვითარ ვინარგებლეთ მისგან?

უფალი ესრეთ გვიბრძანებს: ოდესცა ილოცვიდეთ, ჭსთქუთ: მ ა მ ა ო ჩ უ წ ნ ო, რ ო მ ე ლ ი ს ა რ ც ა თ ა შ ი ნ ა!

ძმანო ქრისტიანენო! ვითარ ძალაღაწს ცნობისათჳს და ტკბილ გულისათჳს სიტყუა ესე ღუთისადმი: მ ა მ ა ო ჩ უ წ ნ ო! ამა ერთსა სიტყუასა შინა გამოითქმების სრული ხარწმუნოება, სხსოება და სიუწარული ქრისტიანობრივი. და ესრეთ ჩუწნდა ცოდვილთა მოცემულაწს ნება, რათა უწოდეთ ღმერთსა მ ა მ ა დ ჩ უ წ ნ დ ა. ვისგან და რისათჳს მოცემულაწს ჩუწნდა ესრეთი ნება, ესრეთი ძალაღი ღირსება? ყოველი ვიგულისხმებთ, ოდესცა მოვიხსენებთ, რომელ ნება ესე მოცემულაწს ჩუწნდა მხოლოდ შობილისაგან მისა ღუთისა, ჩუწნისა მხსნელისა, რომელმანცა თჳსითა ვნებითა და ჯუარცმითა მოგვიყინა ჩუწნ ყოველთა მამობრივი სიუწარული და მოწყალება ღუთისა ძამისა და ითხოვს ჩუწნგან მხოლოდ ხარწმუნოებასა და სიუწარულსა, ვინაოდგან თქმულაწს: რ ა ო დ ე ნ თ ა ი გ ი შ ე ი წ ე ნ ა რ ე ს, მ ო ჭ ს ც ა მ ა თ ს ე ლ მ წ ი თ ე ბ ა შ კ ი ლ ღ უ თ ი ს ა ყ ო თ ა დ რ ო მ ე ლ თ ა ჭ რ წ ა მ ს ს ა ს ე ლ ი მ ი ს ი (იოანესი თავი 1.). ვირწმუნეთ, ძმანო, უფალი და შევიყვარეთ იგი ყოვლითა გულისთა, და ვიქმნებით შვილნი ღუთისანი, და ღმერთიცა იქმნების ჩუწნდა არა მსაჯული მრისხანე, არამედ მამა მწყალობელი. არა გრძნობა, ქრისტიანეო, ვითარ ესრეთსა ხარწმუნოებასა და სიუწარულსა შინა განცხორებებთან ყოველნი უმჯობესნი ხსნობანი შენნი? ყოვლისა შემძლებელი ღ ყოვლადსახიერი მამა არს ხსნობა შენი, და რაღ არს შეუძლებელ მისდა? ესრეთ, შეუდგით. ქრისტიანენო, ღმერთსა, ვითარცა შვილი მამასა, შეუდგით

სარწმუნოებითა, სახოებითა და სიყვარულითა ძეებრივითა, ვითარცა გუასწავებს ჩუქნ მორადება ლოცვისა უფლისა: მ ა მ ა რ ჩ უ ლ ნ რ! დაჰსდგე რა ლოცვასა ზედა, ჭსთქვი სულისა შინა თვსსა ესრეთ: “ღმერთო საუკუნეო! თუძცა მე ცოდვილი ვარ, და თუთ თავისა თვისადმი უღირსი სიყვარულისა შენისა, გარნა სახიერებისაებრ უფლისა ჩემისა იესო ქრისტესი მე ვარ შენი და შენ მამა ჩემი! მამაო ყოვლად სახიერო და ყოვლად შემძლებელო! მოიხილე ჩემზედა და და იხმინე ჩემი მხოლოდ შობილისათვს ძისა შენისა, ჩემისა მაცხოვრისა და უფლისა!,,

შევხსწათო გუაჲდა, ვითარ იგივე სიტყუა: მ ა მ ა რ ჩ უ ლ ნ რ, მოითხოვს ჩუქნგან არა მხოლოდ სიყვარულსა ღუთისადმი, არამედ სიყვარულსაცა მოუყასთა ჩუქნთადმი. უფალი ამცნებს ყოველსა მორწმუნესა თქმად არა — მ ა მ ა რ ჩ ე მ რ, არამედ მ ა მ ა რ ჩ უ ლ ნ რ. რადასათვს? ამისთვს რომელ ვითარცა თუთ იგი კეთილნებობისაებრ თვისსა განყოფს სიყვარულსა ზეციერისა მამისასა ჩუქნ ცოდვილთა შორის, და გვიწოდს ჩუქნ ძმად თვსად (ებრ. 2. 11.), — გვრეთცა მოითხოვს ჩუქნგანცა, რათა ზატვიხ-ვსცემდეთ ღმერთსა საზოგადოდ მამად ჩუქნდა, და ურთიერთარს ძმებად. უფალსა ჭსურს ყოველთა კაცთა კეთილი და ცხოვრება, რათა ჩუქნცა გვქონდეს სიყვარული ურთიერთისადმი და გვიუყარდეს თუთ მტერნიცა ჩუქნნი, ჳ კეთილსა უქმოდეთ მოძულეთა ჩუქნთა, ვითარცა მას უყვარდა მდეკარნი თვსნი და კეთილსა უქმოდა მათ, ჳ ილოცვიდა თუთ ჳუარს-მცემელთა თვსთათვს. ამისთვს, ქრისტიანეო, სდგე რა ლოცუასა ზედა ჭსთქვი გულისა შინა თვსსა გუაჲდა ესრეთ: “ყოვლად უზენაესო მამაო ყოველთა კაცთაო, მოხედე სახიერებითა შენითა ყოველთა კაცთა, მოხედე მამობრივად ჩუქნსა საზოგადოასა შეჭირვებასა უძლურთა ბუნებათა ჩუქნთასა, და იქმენ ჩუქნ ყოველთა მოწყალედ!,,

მამაო ჩუწნო, რომელი ხარ ცათა შინა. რადხათვს
გვეძნო ჩუწნ წარმოდგენად ღუთისა ცათა შინა? ღმერთი ყო-
ველგან არს, ცათა შინა და ქუწყანასა ზედა, ყოველსა ქმნილებასა
შინა თვსსა განისვენებს თვსითა ძალითა ჳ სელმწიფებითა. ხოლო
რადხათვს იტყვის, რათა ძლოცველი წარმოდგენდეს ღმერთსა
ცათა შინა? ამითვს, რათამცა ჩუწნ წარმოდგინოთ ყოვლად
უზენაესი დიდებულება და მიუწითომელნი სრულებანი ღუთისანი,
რომლისა წინაშე ანგელოსნიცა ცათა შინა იფარვენ ჰირთა თვსთა
და ეგებიან შიშითა, რათა ესრეთითა სახითა ღრმად ვწსტნათ
სიძაბლე და უბადრუკება ჩუწნი წინაშე ყოვლად უზენაესისა, და
რათა უამსა ღოცვისასა დაუტოოთ ჩუწნ გულთა ყოველივე ქვეუ-
ნიერი და მივეძარტნეთ ზეცურიხადმი, და რათა მტკიცედ ეგნენ
სულნი და გულნი ჩუწნნი ღოცვასა ზედა. და ესრეთ განვაწყობდეთ
თავთა ჩუწნთა ღოცვისადმი და ვიტყოდეთ გულთა შინა ჩუწნთა:
“შემოქმედო და შეუფეო ყოველთაო, მიუწითომელო, ძაღალო და
ყოვლადწმიდაო ღმერთო! ათასეული ათასეული და ბევრეული ბე-
ვრეული ანგელოსნი შიშითა გმსახურებენ შენ და კეთილმოწიწე-
ბით ადიდებენ ძლიერებასა შენსა ცათა შინა, და რად ვართ ჩუწნ
წინაშე შენსა? წინაშე დიდებისა შენისა ჩუწნ არს რად ვართ, გარ-
ნა ყოვლადსხიერებისადებრ შენისა გვსურს წოდებად და ყოფად
მამად, ჩუწნდა ვითარცა ანგელოსთათვს. ჳი ყოვლადსახიერო
და დაუსახამოო ძაღალო? ვითარცა დიდებულება, ეგრეცა სახიერე-
ბა შენი! ჳი მამაო ჩუწნო, რომელი ხარ ცათა შინა!

ესრეთითა სახითა ჰირველნი სიტყუნი ღოცვისა უფლისანი
გვასწავებენ ჩუწნ, ვითარ თანამდებარით განმზადებად ღოცვისა-
თვს და ვითარ ჳერსარს ღოცუა.

მთარგმნელი რუსულით, მღუდელი ვ. იმნაძე.

შ ე ს ხ მ ი თ ი მ რ კ ი თ ხ ჯ ა

მონასტრების ბლადოჩინისა, არსიძანდრიტის ტარსინი, დროსა მონილვისა მისძიერ დაკითხვარეკვის უდაბნოდას, თქმული იმავე უდაბნოს წინამძღურის არსიძანდრიტის გრიგორისაგან.

გიტნი ჩემნი იგი ჭ მიტინან ჩემთა მათ (იონე ი, იდ), იტყვის დიდი მწყემსთამთავარი ჭ უფალი ჩუწნი იესო ქრისტე. მამა სადაძე ურთიერთარსი ცნობა შორის მწყემსთა ჭ ცხოვართა ჭ უძეტეს ძმათა შორის არს საჭირო, ვინაფთგან მას ზედა დაეფუძნების სულიერი კავშირი ჭ ერთობა.

შენ, ყოვლად ჰატოხანო მამა, მიმზადვი სიტყვათა მათ ქრისტესთა, ვითარცა მწყემსი კეთილი, თუძცალა მიტნი ჩუწნი და ჩუწნიცა გიტით შენ, გარსა მოკალეობისაგამო შენისა, კეთილანუბე აწ მონილვად ჰირისპირ საყოფელისა ამის ჩუწნისა. კეთილ ჭ სასურველ არს შემთხვევა ესე! მოკედ უკუწ ჩუწნიდა ჭ გვასარენ ჩუწნი სინარულითა დიდითა; მოკედ ჭ მონილენ ადგილნი ესე წმიდათანი, სადაცა დირსი მამა დაკით, კაცი იგი ზეტყერი ჭ ანგულახი ქვეყნიერი, ნათობდა სულიერითა ბრწყინვალეობითა ჭ იღვწიდა მრავალთერითა ღვაწლითა.

აჴა ესერა შეკრებულვართ შენ წინაშე ძმანი ამის მონასტრისანი. იყო დრო, რდესცა კრებული მისი შესდგებოდა ბევრეულთაგან, სოლო აწ ინილვების მტირე რიტსვითა ჭ დავრდომილ; გარ-

ნა სიმცირესა ამას შინა ჩუქნ ვნუგეშობთ ტკბილითა მით აღთქმი-
თა, რომელიცა იტყვის: ნუგეშინინ მცირესა მასსა სამ-
წყესასა, რამეთუ სათნოიყო მამამან თქუქნმან ზე-
ცათამან მოცემად თქუქნდასას უფეკელი. (ლუკ. იბ. ლბ).

მისთვის უმეტესად სასურველად ჩუქნდა მოხვლა ესე შენი,
რამეთუ ზირაუთნებელად გსადით შენ, ყოვლადღირსო მამო, ვი-
თარცა სიერძითგანვე აღზრდილსა უბიწოებსა შინა ჭ მადლსა კე-
თილ მონაზონებისასა. შენ მიერ ვისწავებთ ჩუქნცა გზასა მას სუ-
ლიერისა წარმატებისასა ჭ განკმტკიცდებით სიყვარულსა ჭ მოწი-
ლებასა შინა. დაღაცათუ ისილგებოდეს ჩუქნ შორის ვითარძე ნა-
კლუღევანებაჲ, მარადის მოუწოდოთ მადლსა მას უზენაესსა, რომე-
ლიცა უძღურებსა განკურნებს ჭ ნაკლუღევანებასა აღავებს. განკე-
შორებით რა სილგტოღვითა უდაბნოსა ამას შინა, უგზოსა ჭ ურ-
წყულსა, ჩუქნ მოკვლადებით აქა დმერთსა მაცხროვასა ჩუ-
ქნსა სულმოკლებისაგნ ჭ ნიაკქარისა (ფსალმ. ნდ,
ძუს. ჭ. თ.).

შეაერთე უკუქ შენცა, ყოვლადპატოოსანო მამო, წმიდანი
ლოცვანი შენნი ლოცვათა ჩუქნ უღირსათა, ჭ მოკვდ სავანესა ამას
შინა წმიდისა დავითისასა თაყვანისცემად საოულავისა მისისა. გურ-
თხეულ სარ შენ, მომავალი სახელითა უფლისათა!



მოკლე ისტორიული განხილვა საღმრთო მსახურების
წიგნთა მართლმადიდებელის ქართულთ ეკკლე-
სიისა. (*)

2. სამოციქულო.

ამ სახელით იწოდების წიგნი, რომელიც შეიცავს თვს შორის
საქმეთა ზე ყოველთა ეპისტოლეთა წმიდათა მოციქულთასა. იგი
იკითხვის ეკკლესიაში ისე, როგორც რომ სხსარება, და ამითვე სა-
ხარების მგზავსად დაყოფილია დასაწყისებზედ.

არ ვიცით სახელდობ რომის მომხდარს სამოციქულოს და-
ყოფა დასაწყისებზედ. იუსტინე მოწამე იტყვის, რომელ კითხვა
წიგნთა ხლისა აღთქმისათა შეადგენდა ნაწილსა საზოგადო ღუთის-
მსახურებისასა, და ისეკ იმისკე დროს, მეორეს საუკუნეში, კი-
თხულოდნენ ეკკლესიებში წერილთა მოციქულთასა. ეგრეთვე უწ-
ყებულარს, რომელ იმა წერილთგან წარიკითხებოდნენ იმ გვარ-
ნი საკითხავნი, რომელნიც შეესაბამებოდნენ დაწესებულთა დღეთა.
ესრეთ ისეკ მესამე საუკუნეში ჩვეულებად იყო დადებული, რომ
ქრისტეს შობის დღეს წარეკითხათ პირველი თავი მათეს სხსარები-

თავი ამ სტატიისა იხილე სახულოერო მსხარებელის აპრილის
წიგნში 1865 წლისა.

სა; ვნების კვირაში წარვიითხავდნენ უკანასკნელთა თავთა იმავე სახარებიდგან, სადაც აღწერილ არიან უკანასკნელი დღენი ქრისტე იესოს ცხოვრებისანი. გარნა პირველს საუკუნეში საკითხავნი საღმრთო წერილისაგან დაინიშნებოდნენ ეგრეთ, ვითარცა ენებათ მწყემსთა ეკკლესიისათა და ამისთვის იმ დროს არ იყვნენ იგინი დაყოფილნი დასაწყისებზედ. მეოთხე საუკუნის მწერალნი უჩვენებენ, რომელ დანიშნულ დღეებში ეკკლესიაში იკითხვიდნენო წერილთაგან ახლისა სჯულისა წინათვე აღნიშნულნი ნაწილნიო. ესრეთ იოანე ოქროპირი ერთს თავის განმარტებაში უჩვენებს თავის მსმენელთა, რომ იმათ თავიანთ სახლებში წინათვე წავითხონ იგივე სახარების თავნი, რომელნიც, იქმნებიან ეკკლესიაში წარკითხულნი.

აქედგან ჭხანს, რომელ იოანე ოქროპირის დროს ღუთის-მხარეებზედ დანიშნულ დღეებში იკითხებოდნენ ახლის აღთქმისაგან წინათვე დანიშნულნი თავნი. წმიდა იოანე ოქროპირი კვლავდცა იტყვის, რომელ იმის დროს ზსეჲის კვირიაკიდგან მეგრესებს დღემდინ იკითხოდნენ საქმენი მოციქულთანი. შეიძლება ვსთქვათ, რომ სამოციქულო, იოანე ოქროპირის დროს, იყო დაყოფილი 55 ნაწილად, რადგანაც მას შეუდგენია ამ წიგნზედ 55 განმარტებანი. სამოციქულო აწ შეიცავს თვს შორის 51 დასაწყისსა.

მესუთე საუკუნეში თვითოეულს დღესა და კვირიაკესა აქუნდნენ დანიშნულნი საკითხავად საკუთარნი იგავნი და ისტორიანი სახარებისა. ამის დასამტკიცებლად ჩვენ ვხეობთ განმარტებათა მესუთე საუკუნის მწერლის ანტონისასა მეზვერისა და თარისეულისათვს, ზაქესთვს და უძღების შეილისათვს. გარნა მესუთე საუკუნეში ისე ვრცლად არ იქმნებოდნენ დაყოფილნი წიგნნი ახლისა აღთქმისანი, როგორც ჩვენ ეხლა ვხედავთ, ამისთვის რომელ-მანე ერთი დღესასწაული ეკკლესიას დაუწყებია შემდეგ ყაში და მათთვის დადებულან შესაბერნი საკითხავნიცა სამოციქულოდგან. იოანე დამას-

